

2022 წელს შპს „თეგეტა აკადემის“ დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ აპლიკანტთა შეფასების ეტაპებისა და მეთოდების განსაზღვრის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- წინამდებარე წესი განსაზღვრავს 2022 წელს აპლიკანტთა შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს შპს „თეგეტა აკადემის“ (შემდგომში „აკადემია“) დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.
- შეფასების შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტები.
- შერჩევის პროცესის ადმინისტრატორისა და IT სპეციალისტის ვინაობა, შესარჩევი კომისიისა და დამკვირვებლების შემადგენლობა განსაზღვრულია დანართი N3-ით. დანართი N3-ში მითითებული პირების მიერ შერჩევის პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით შემუშავებული დოკუმენტით „მოტივაციური გასაუბრების ადმინისტრატორის სახელმძღვანელო 2022“ დადგენილი რეკომენდაციები.

მუხლი 2. შეფასებაში მონაწილეობის წინაპირობა

- შერჩევის პროცესში მონაწილეობის უფლება აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შესაბამის პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით, რეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შერჩევის პროცესის ადმინისტრატორი შერჩევის პროცესის ადმინისტრირებამდე ელექტრონულ ბაზაში ამოწმებს პროგრამაზე დარეგისტრირებულ აპლიკანტებს და ადგენს აპლიკანტთა საბოლოო სიას.

მუხლი 3. შეფასების ფორმა და ეტაპები

შეფასება აკადემიის დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ორეტაპიანია, რომელიც მოიცავს შიდა ტესტირებას და მოტივაციურ გასაუბრებას.

მუხლი 4. აპლიკანტთა შეფასების ვადები

- აპლიკანტთა შეფასების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ეტაპი	ვადები
შიდა ტესტირება	29 აგვისტო, 2022 წ.
მოტივაციური გასაუბრება	5 სექტემბერი- 13 სექტემბერი, 2022 წ.

აკადემიის მიერ თითოეული ეტაპის თაობაზე აპლიკანტთა ინფორმირება ხორციელდება, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე, შემდეგი გზებით:

- ელექტრონულ პორტალზე <https://vet.emis.ge/> შეფასების შესაბამისი ეტაპის თარიღის ასახვა;
- ინფორმაციის განთავსება აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე;

- აპლიკანტის მიერ ელექტრონულ პორტალზე მითითებულ ელ-ფოსტაზე შეფასების თარიღისა და ადგილის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება;
- აპლიკანტისათვის ამავე ინფორმაციის სატელეფონო კომუნიკაციის გზით მიწოდება და დარწმუნება რომ აპლიკანტი ინფორმირებულია შერჩევის თარიღების შესახებ და რომ თითოეულმა აპლიკანტმა იცის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისამართი და მისასვლელი გზა;

მუხლი 5. შიდა ტესტირება

1. ტესტი შედგება სამი ნაწილისგან/ბლოკისგან: უცხო ენა, ზოგადი უნარების ვერბალური და მათემატიკური ნაწილი. თითოეული ნაწილი შედგება 20 კითხვისგან, თითოეული ფასდება 1 ქულით, ხოლო ჯამურად - 20 ქულით;
2. ტესტირების შედეგად აპლიკანტს შესაძლებლობა აქვს დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა, ხოლო მინიმალური გადასალახი ზღვარი შეადგენს 15 ქულას.
3. ტესტირების დრო განისაზღვრება 1 საათი 30 წუთი.
4. ტესტირება ტარდება თეგეტა აკადემიის სივრცეში.
5. ტესტირებას მეთვალყურეობას უწევენ საგამოცდო პროცესის ადმინისტრატორი და დამკვირვებლები.

მუხლი 6. მოტივაციური გასაუბრება

1. მოტივაციურ გასაუბრებას ატარებს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული შესარჩევი კომისია. გასაუბრებისას კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტს, წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
2. შერჩევის კომისია აპლიკანტს აფასებს წინამდებარე წესის დანართი N2-ის სახით წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად; შეფასების კრიტერიუმები მრავლდება ელექტრონული პლატფორმის მიერ წინასწარ დადგენილ კოეფიციენტებზე.
3. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს მაქსიმალური შეფასების 25 %-ს.
4. აპლიკანტი, რომელიც ვერ გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, ვერ ჩაირიცხება პროგრამაზე (მიუხედავად თავისუფალი ადგილების არსებობისა).
5. მოტივაციური გასაუბრება მიმდინარეობს თეგეტა აკადემიაში, პირისპირ ფორმატში, გარდა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისა, მაგალითად COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში, რა შემთხვევაშიც, შესაძლებელია გასაუბრების ონლაინ ფორმატით ჩატარება შესაბამისი ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით.
6. კომისიის წევრებს ელექტრონულ პლატფორმაზე გამოეყოფათ ინდივიდუალური პროფილები, რის შემდეგაც ისინი შეძლებენ ელექტრონულად შეაფასონ აპლიკანტი.
7. შეფასებები კომისიის წევრთა მიერ აისახება მართვის საინფორმაციო სისტემაში თითოეული აპლიკანტის პირად პროფილში.
8. კომისიის წევრების შეფასებები ელექტრონულ პლატფორმაზე იკრიბება და საშუალო არითმეტიკულის პრინციპით გასაუბრებაზე აპლიკანტის საშუალო ჯამური ქულა მიიღება.

მუხლი 7. აპლიკანტთა შედეგების ასახვა

1. აპლიკანტის მიერ შეფასების ორივე ეტაპზე მიღებული შეფასების შეწონილი შედეგი (იმ პირობით რომ გადალახული იქნება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი) მინიჭებული კოეფიციენტის გათვალისწინებით, წარმოადგენს რეიტინგულ ქულას.
2. შეფასების შედეგების შესაბამისად ელექტრონული პორტალი ავტომატურად ადგენს აპლიკანტთა რეიტინგულ სიას.

მუხლი 8. აპლიკანტთა უფლება - მოვალეობები

1. აპლიკანტი უფლებამოსილია იცნობდეს შეფასების კრიტერიუმებს, რისთვისაც აკადემია შეფასების წესს განათავსებს საინფორმაციო დაფაზე, კოლეჯის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში;
2. აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს ტესტირება/გასაუბრებაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე აპლიკანტი არ დაიშვება ტესტირება/გასაუბრებაზე.
3. აპლიკანტი უფლებამოსილია საპატიო მიზეზით შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში განმეორებით ერთხელ გავიდეს ტესტირება/გასაუბრებაზე, რისთვისაც ის განცხადებით მიმართვს დაწესებულების ხელმძღვანელს შეფასების თარიღიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში და

წარადგენს შესაბამის მტკიცებულებას. განმეორებით შეფასებაზე გამოუცხადებლობა წარმოადგენს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს. განმეორებითი შეფასება ტარდება განცხადების წარდგენიდან მაქსიმუმ ერთი კვირის განმავლობაში.

4. აპლიკანტის მიერ მიღებული შედეგების გასაჩივრების წესი და ვადები განისაზღვრება აკადემიის შიდამარეგულირებელი დოკუმენტით - „შპს „თეგეტა აკადემიის“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესი“.

მუხლი 9. 2022 წელს პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის სპეციალური წესი

1. 2022 წელს, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა განხორციელდეს მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების (შემდგომში „მინისტრის ბრძანება“) მე-4 მუხლით გათვალისწინებული ეტაპების დაცვით, აღნიშნული ეტაპებისთვის განსაზღვრულ ვადებში. ამასთან, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შერჩევა წარიმართოს პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას, ისევე, როგორც პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას.
2. 2022 წელს, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის მიზნით, მულტიდისციპლინური გუნდი, მიმართვიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსით რეგისტრირებული აპლიკანტის შეფასებას, ამ აპლიკანტის შეფასების დასკვნის მომზადებას და სარეგისტრაციო სისტემაში დასკვნის განთავსებას, რომლითაც დასტურდება აპლიკანტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნა ასევე მიეწოდება შეფასებულ პირს/მის კანონიერ წარმომადგენელს. შეფასების შედეგი (სტატუსის მინიჭება ან მინიჭებაზე უარი) აისახება სარეგისტრაციო სისტემაში.
3. 2022 წელს, პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების მიზნით შეფასება არ ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ უკვე არსებობს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნა, რომლის მომზადებიდან არ გასულა 3 წელი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აპლიკანტი/აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენელი ითხოვს განმეორებით შეფასებას ან მულტიდისციპლინური გუნდი საჭიროდ მიიჩნევს განმეორებით შეფასებას. თუ ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში არ ხდება აპლიკანტის განმეორებითი შეფასება, გამოყენებულ უნდა იქნას მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისთვის განსაზღვრული წესით შედგენილი ბოლო დასკვნა.
4. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს, 2022 წელს გამოცხადებული მიღების ფარგლებში რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, შედეგების აპლიკანტისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და დაწესებულებაში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დაწესებულების მიერ გასაზღვრულ დოკუმენტებს.
5. 2022 წელს, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, თავისუფალი ადგილების გამოცხადება ხორციელდება მინისტრის ბრძანების 26-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად. აპლიკანტი, რომელიც ვერ ჩაირიცხა მის მიერ არჩეულ პროგრამაზე, უფლებამოსილია მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში აირჩიოს არაუმეტეს 3 პროგრამა. დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს აპლიკანტთა შერჩევა პრაქტიკული მოსინჯვის გზით, თუ მითითებულ პროგრამაზე/პროგრამებზე აპლიკანტს შერჩევის ეტაპი არ გაუვლია. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით გამოცხადებული მიღების ფარგლებში, რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, შედეგების აპლიკანტისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და დაწესებულებაში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დაწესებულების მიერ გასაზღვრულ დოკუმენტებს. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა დასრულდეს სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

მოტივაციური გასაუბრება: შეფასების ფორმა

1. ინფორმაცია პროფესიის შესახებ

<p>აპლიკანტი ფლობს ინფორმაციას პროფესიის ისეთი ასპექტების შესახებ, როგორცაა: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულები, ანაზღაურება.</p>	4	3	2	1	0	<p>აპლიკანტი არ ფლობს ინფორმაციას პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულები, ანაზღაურება.</p>
--	---	---	---	---	---	---

2. პროფესიული ცნობისმოყვარეობა

<p>გამოირჩევა სამიზნე პროფესიასთან შესაბამისი საგნებისადმი/საკითხებისადმი ინტერესით, იჩენს ინიციატივას; იცის როგორ უნდა მოიძიოს ინფორმაცია მისთვის საინტერესო პროფესიული საკითხების შესახებ;</p>	4	3	2	1	0	<p>პროფესიასთან დაკავშირებული საგნების მიმართ განსაკუთრებული ინტერესით არ გამოირჩევა. არ აქვს გაცნობიერებული მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიების საჭიროება.</p>
--	---	---	---	---	---	---

3. მსგავსი სამუშაოების შესრულების გამოცდილება

<p>აპლიკანტს აქვს პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოების შესრულების გამოცდილება (ფორმალურად ან არაფორმალურად). მან იცის, რომელი ძირითადი სამუშაო იარაღები/ტექნიკა/აღჭურვილობა გამოიყენება პროფესიაში და აქვს მათი გამოყენების მინიმალური გამოცდილება მაინც.</p>	4	3	2	1	0	<p>კანდიდატს არ შეუსრულებია პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოები, არ ფლობს ინფორმაციას ამ სამუშაოებისა და ძირითადი იარაღების/ტექნიკის/აღჭურვილობის შესახებ, რომელიც გამოიყენება პროფესიაში.</p>
--	---	---	---	---	---	---

4. პროფესიის მნიშვნელობის გააზრება

<p>კანდიდატს კარგად აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება როგორც ლოკალურ (თემის/სოფლის/ქალაქის), ასევე ეროვნულ (ქვეყნის/საზოგადოების) კონტექსტში. აცნობიერებს საკუთარ წვლილს პროფესიის განვითარებაში. აპლიკანტის პასუხები მეტყველებს მის გააზრებულ არჩევანზე.</p>	4	3	2	1	0	<p>კანდიდატს არ აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება და თავისი როლი ამ პროფესიაში; არ აქვს გააზრებული საკუთარი წვლილი პროფესიის განვითარებაში; მისი პასუხები</p>
---	---	---	---	---	---	---

						მეტყველებს იმაზე, რომ კოლეჯში ჩაბარების გადაწყვეტილება არ აქვს გააზრებული.
--	--	--	--	--	--	--

5. პროგრამაზე სწავლის მზაობა

კანდიდატს კარგად აქვს გაცნობიერებული კოლეჯში სწავლის გადაწყვეტილება; ფლობს ინფორმაციას პროგრამის ძირითადი სპეციფიკის (დატვირთვა, სწავლების ხანგრძლივობა) შესახებ. მეტ-ნაკლებად სრულად ფლობს ინფორმაციას პროგრამაზე შესასწავლი საგნების შესახებ. ინფორმაცია რელევანტურ წყაროებზე დაყრდნობით აქვს მოძიებული. პროგრამაზე ჩაბარების ძირითადი მოტივი სამიზნე პროფესიისადმი ინტერესია. მას კარგად აქვს გააზრებული სამომავლო გეგმები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანდიდატს პროგრამაზე სწავლის მზაობა აქვს.	4	3	2	1	0	კანდიდატს არ აქვს გააზრებული კოლეჯში სწავლის გადაწყვეტილება; არ ფლობს ინფორმაციას პროგრამის ძირითადი სპეციფიკის (დატვირთვა, სწავლების ხანგრძლივობა) შესახებ. არ ფლობს ან არასწორ ინფორმაციას ფლობს პროგრამაზე შესასწავლი საგნების შესახებ. ინფორმაცია ან საერთოდ არ მოუძიებია, ან არარელევანტურ, ნაკლებად სანდო წყაროებზე დაყრდნობით აქვს მოძიებული. არ იკვეთება ინტერესი შერჩეული პროფესიული პროგრამის მიმართ. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანდიდატი ნაკლებად არის მზად აღნიშნულ პროგრამაზე სწავლისთვის.
--	---	---	---	---	---	---

6. კარიერული განვითარების გეგმები

აპლიკანტი დაინტერესებულია პროფესიის შესწავლით. გაცნობიერებული აქვს თუ რატომ სურს ამ პროფესიის დაუფლება, როგორ და რაში გამოიყენებს არა მარტო პროფესიას, არამედ მასთან დაკავშირებულ ცოდნასა თუ უნარ-ჩვევებს; ჩამოყალიბებული აქვს კონკრეტული მოლოდინი პროფესიის მიმართ და მკაფიოდ აქვს გაცნობიერებული საკუთარი ადგილი და როლი პროფესიაში.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ავლენს ინტერესს პროფესიისადმი; არ აქვს მკაფიო მოლოდინი პროფესიის მიმართ; არ აქვს გაცნობიერებული პროფესიასთან დაკავშირებული დადებითი მხარეები ან სირთულეები; არ აქვს პროფესიასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები და ვერ აანალიზებს საკუთარ ადგილსა და როლს ამ პროფესიაში.
--	---	---	---	---	---	--

მითითებები შიდა ტესტირების (შემდგომში „გამოცდის“) ჩატარების შესახებ

1. გამოცდის დამკვირვებლის ვალდებულებები

- ა) გამოცდის პროცესზე მონიტორინგს ახორციელებს ერთი ან ორი დამკვირვებელი;
- ბ) დამკვირვებელი ვალდებულია გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილას გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ ნახევარი საათით ადრე და აცნობოს ადგილზე კოლეჯის ადმინისტრაციას;
- გ) გამოცდის დაწყებამდე, მან პროფესიულ აპლიკანტს უნდა გააცნოს გამოცდის ჩატარების წესები, რომლებიც უნდა დაიცვას ყველა აპლიკანტმა გამოცდის მიმდინარეობისას;
- დ) დამკვირვებელი ვალდებულია გაატაროს ყველა აპლიკანტი შესაბამის უწყისში გამოცდის დაწყებამდე. აპლიკანტის რეგისტრაცია უწყისში ხდება მათი მონაცემების მითითებით და ხელმოწერით;
- ე) დამკვირვებელი ვალდებულია დააკვირდეს გამოცდის მიმდინარეობას მისთვის განსაზღვრულ სექტორში. მკაცრად აკონტროლოს აპლიკანტთა მიერ უფლება-მოვალეობების დაცვა. მათი დარღვევის შემთხვევაში იმოქმედოს წინამდებარე წესის შესაბამისად;
- ვ) აპლიკანტის გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში, დამკვირვებელმა უნდა ჩამოართვას მას საგამოცდო ფურცლები. საგამოცდო ფურცელზე გააკეთოს წარწერა – „მოხსნილია გამოცდიდან“ მიზეზის მითითებით,
- ზ) დამკვირვებელს შეუძლია პასუხი გასცეს აპლიკანტის მიერ დასმულ პროცედურულ და ტექნიკურ შეკითხვებს. მას საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე პასუხის გაცემა ეკრძალება;
- თ) საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე მან უნდა გააფრთხილოს აპლიკანტები საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ;
- ი) გამოცდის დასრულების შემდეგ დამკვირვებელმა აპლიკანტს უნდა ჩამოართვას ნამუშევრები და გადასცეს ისინი შესამოწმებლად შესაბამის პირს.
- კ) დამკვირვებელს ეკრძალება მისთვის განსაზღვრული სექტორის დატოვება, გამოცდის დასრულებამდე;

2. აპლიკანტის უფლება-მოვალეობები

2.1. აპლიკანტი ვალდებულია:

- ა) გამოცხადდეს გამოცდის ადგილზე საგამოცდო დროის დაწყებამდე 30 წუთით ადრე;
- ბ) გამოცდის დაწყებამდე წარმოადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია;
- გ) დაგვიანების ან სხვა დროს გამოცხადების შემთხვევაში პროფესიული აპლიკანტი გამოცდაზე არ დაიშვება;
- დ) იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აპლიკანტი გამოცდაზე არ დაიშვება;
- ე) მაგიდაზე არ უნდა იდოს არც ერთი ნივთი გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა (საჭიროების შემთხვევაში);
- ვ) შეამოწმოს მისი საგამოცდო ფურცლის ხარვეზიანობა, დაზიანების არსებობის შემთხვევაში მიმართოს დამკვირვებელს. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ ასეთი პრეტენზია აღარ მიიღება;
- ზ) არ დაიწყოს საგამოცდო ნაშრომზე მუშაობა, ვიდრე არ დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა.
- თ) გამოცდის მიმდინარეობისას დაიცვას ამ წესით გათვალისწინებული ნორმები;
- ი) საჭიროების შემთხვევაში ხელის აწევით მიმართოს დამკვირვებელს შეკითხვით, ისე რომ ხელი არ შეუშალოს სხვა აპლიკანტებს;
- კ) დაემორჩილოს დამკვირვებლის მითითებებს და გადაწყვეტილებას, თუნდაც მისი გამოცდიდან მოხსნის შესახებ;
- ლ) საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე დროულად ჩააბაროს ნამუშევარი;

3. გამოცდაზე ქცევის წესები

3.1. გამოცდაზე დაუშვებელია:

- ა) საგამოცდო ნაწერი უნდა შესრულდეს დამკვირვებლის მიერ დარიგებულ საგამოცდო ფურცლებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება;
- ბ) საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ აკრძალულია საგამოცდო სივრცის დატოვება წერის სრულად დამთავრებამდე;

გ) გამოცდის მიმდინარეობისას საუბარი, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება ერთმანეთთან, აღნიშნულ შემთხვევაში აპლიკანტი მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან;

დ) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო, ასევე საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა.

ე) სხვა აპლიკანტისთვის ხელის შეშლა ნებისმიერი ფორმით;

ვ) სხვა პირებთან კონსულტირება ან ურთიერთობა აუდიტორიის გარეთ გამოცდის პერიოდში; სხვა აპლიკანტის ტესტში ან ნაშრომში ჩახედვა ან მისი გადაწერა; სხვა პირის დახმარება, სხვისაგან დახმარების მიღება ნებისმიერი ფორმით;

ზ) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ, საგამოცდო მასალებზე რაიმე ჩანაწერების გაკეთება ან მუშაობის გაგრძელება;

თ) საგამოცდო მასალების გადაწერა, გადაღება მისი გარეთ გატანა ან გატანის მცდელობა ნებისმიერი ფორმით;

ი) დაუშვებელია მობილური ტელეფონების გამოყენება კალკულატორად;

კ) საგამოცდო ნაშრომის ჩაბარებამდე საგამოცდო ოთახის დატოვება დაუშვებელია ნებისმიერი მიზეზით, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა.

ლ) გამოცდის მიმდინარეობის დროს ნებისმიერი ელექტრონული საშუალება (მობილური ტელეფონი, ფოტო და ვიდეო კამერები და სხვა) უნდა გამოირთოს და მოთავსდეს მისთვის გამოყოფილ ადგილას;

3.2. საგამოცდო პერიოდის განმავლობაში ზემოთ მითითებული ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში პროფესიული აპლიკანტი მოიხსნება გამოცდიდან;

4. აპლიკანტის გამოცდიდან მოხსნის საფუძვლები

4.1. აპლიკანტი გაფრთხილების გარეშე იხსნება გამოცდიდან:

ა) ალექსიკონის, ე. წ. „მპარგალკის“, მობილური ტელეფონის, აიპადის, კალკულატორის და დამხმარე მასალის, (გარდა ნებადართული შემთხვევისა) ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო აღმოჩენისას (თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში);

ბ) წესრიგის დარღვევის ან საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურაცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში;

გ) ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში.

დ) სხვა პირის ნაცვლად გამოცდის ჩაბარების მცდელობის შემთხვევაში.

4.2. ნებისმიერი სხვა წესის დარღვევისას აპლიკანტი იღებს გაფრთხილებას. მეორე გაფრთხილების მიღების შემთხვევაში დამკვირვებელი ვალდებულია გამოცდიდან მოხსნას აპლიკანტი.

4.3. ნაშრომი არ გასწორდება თუ აპლიკანტმა:

- საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტა მუშაობა;
- ნაშრომი გაურკვეველად დაწერა;
- დატოვა გამოცდა ან მოიხსნა გამოცდიდან.

აპლიკანტთა გამოცდაზე გამოცხადების/მოხსნის აღრიცხვის მიზნით დამკვირვებლების მიერ გამოიყენება შემდეგი ფორმა:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება							
#	ტესტირებაზე გამოცხადების დადასტურების მიზნით				ტესტირებიდან მოხსნის შემთხვევაში		შენიშვნა
	აპლიკანტის სახელი გვარი	აპლიკანტის ხელმოწერა	გამოცხადების დრო	ნაშრომის ჩაბარების დასრულების დრო	საფუძვლის/ მიზეზის მითითება	დამკვირვებლის ხელმოწერა	
1							
2							
3							